საქართველოს პარლამენტი

განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტი

№ 5224
04.04.2018

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

გიგზავნით ანგარიშს, 2018 წლის 19-20 მარტის პერიოდში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ვიზიტის შესახებ.

გთხოვთ უზრუნველყოთ ანგარიშის ბიუროს წევრებისთვის გაცნობა.

დანართი: 2 გვერდი

კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში

4600, ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

ანგარიში

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ვიზიტის შესახებ

19-20 მარტი

19-20 მარტს, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ 45 საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით ინოვაციური დაფინანსების გლობალური სამდივნოს შეხვედრას უმასპინძლა. **გამართული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მთავარ** მომხსენებლად წარვსდექი გლობალური სამდივნოს პრეზიდენტის სტატუსით.

აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოს მოხსენება მოიცავდა თბილისის სოლიდარობისა და ინოვაციური დაფინანსების ფორუმის (TISIFF) რეკომენდაციებს, რომელიც ახალ დღის წესრიგს სთავაზობს გაეროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს ინოვაციური დაფინანსება მდგრადი განვითარებისათვის.

2030 წლისათვის გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნის მისაღწევად მსოფლიო თანამეგობრობამ დამატებით 37 ტრილიონი აშშ დოლარი უნდა მოიზიდოს. ამ რესურსების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ინოვაციური დაფინანსების პროგრამებზე. სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებით აქტუალური პრეზიდენტი ქვეყნის სტატუსით საქართველოს მონაწილეობა ინოვაციური დაფინანსების გარშემო საერთაშორისო დიალოგში. თბილისის ფორუმის რეკომენდაციები არის ერთიანი ხედვა თუ როგორ უნდა შეიქმნას მეტი ფინანსური რესურსი განვითარებისათვის.

TISIFF რეკომენდაციების თანაავტორები არიან გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, ფილიპ დუსტე-ბლაზი, გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე, იანიკ გლემარეკი და მე, როგორც პარიზის ინოვაციური დაფინანსების სამდივნოს პრეზიდენტი.

20 მარტის შეხვედრას პარიზში ესწრებოდნენ საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო უწყებები, გაეროს სააგენტოები (UNESCO, WFP), ევროკომისია, ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გლობალური ფონდები, კვლევითი და ანალიტიკური ცენტრები (FERDI, Dalberg), საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, AFD, ევროპის საინვესტიციო ბანკი) და სხვა.

შეხვედრაზე განიხილეს თბილისის ფორუმის რეკომენდაციები, როგორც ინოვაციური დაფინანსების ახალი, გლობალური ხედვა გაეროს 2030 მიზნების მისაღწევად. ასევე განხილულ იქნა ინოვაციური დაფინანსების ახალი პროგრამები სოციალური ინვესტიციების, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და სადაზღვევო ინდუსტრიების მაგალითებზე.

მომდევნო მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრას გერმანია, საფრანგეთი და საქართველო ერთობლივად უმასპინძლებს ნიუ იორკში, აპრილის თვეში გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) დაფინანსების ფორუმის ფარგლებში.

განხილვას ვუხელმძღვანელებ ინოვაციური დაფინანსების გლობალური სამდივნოს პრეზიდენტის სტატუსით.

ინოვაციური დაფინანსების სამდივნოს პრეზიდენტი ქვეყნის სტატუსი საქართველოსთვის არის უაღრესად დიდი პატივი და შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ გაეროს 2030 დღის წესრიგში. თბილისის ფორუმის რეკომენდაციები არის პირველი, კონკრეტული შედეგი, რომელიც საქართველომ უზრუნველყო გლობალურ დონეზე დიალოგის ხელშესაწყობად. მომდევნო 6 თვეში TISIFF რეკომენდაციებით ჩვენ უნდა მოვახდინოთ საქართველოს როლის კიდევ უფრო მეტად წარმოჩინება და მაღალი პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება გაეროს, ევროპარლამენტის და სხვა მაღალი დონის ფორმატებში.